



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ვაკიჯვრის განძი

ვაკიჯვრის განძი, ძვ. წ. XII –XI სს. ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩენილია 1936 სოფ. ვაკიჯვარში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ადგილ ქორბუდეში. განძის შემადგენლობაში იყო დ. ქორიძისეული I სახეობის კოლხური ცული, დაზიანებული წალდი, ბრტყელი ცულის ნატეხი, სამი თოხი, სეგმენტისებური იარაღის ნატეხები; შუბისპირი, სატეხი (თუ ბრტყელი ცული), 24 ზოდი. 1960 სოფელში აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ. – I ათასწლ. I ნახ. მშვილდსაკინძი, იგი ერთნილადია, მშვილდი შემკულია წინვისებური ორნამენტით. მასალა ინახება ოზურგეთის ისტ. მუზეუმში.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

**ა. რამიშვილი**

---